ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

დანართი №5

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან

გამომდინარე იქნება:

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია განახორციელოს:

☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: **მადონა გოგობერიშვილი**
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **ნანა ბარნაბიშვილი**
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **ეკა ბარათაშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

II. დაწესებულების მისია

დაწესებულების მისიაა .განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა. ამ მიზნით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მომზადება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ, კონკურენტულ სასწავლო გარემოში; ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივი პროგრამების დაგეგმვას და განვითარებას, პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა, სტუდენტთა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც გაზრდის მათ მოტივაციას.

I. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>შეფასება:</u>

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია წარმოადგენს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც 21.01.2014 წლის ავტორიზაციის საბჭოს N3 გადაწყვეტილებით მიენიჭა ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, 2015 წლის N 36 გადაწყვეტილებით დაიმატა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პრაქტიკოსი ექთანი" მეხუთე საფეხური, ხოლო 2016 წელს კიდევ სამი საგნობრივი პროგრამა, საერთო ჯამში დაწესებულებას გენესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 220 სტუდენტით 9 პროგრამაზე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრში, 2017 წლის 30 ივნისს, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წლიური თვითშეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებაზე

ანგარიშით დაწესებულება ითხოვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას; „ბიბლიოთეკარი"-მეოთხე საფეხური და „ტუროპერატორი' მეხუთე საფეხური.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების დამატების მიზნით, დაწესებულებამ აწარმოვა მოკვლევა პროფესიის საჭიროების შესახებ, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ზემოთხსენებული ორივე პროფესია განიცდის პროფესიონალი კადრების დეფიციტს.

პროგრამა „ტუროპერატორის" მიმართულებით: დაწესებულებამ მოიძია 75 ტურისტული კომპანია, საიდანაც 21 კომპანიასთან შედგა კომუნიკაცია და აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობა. აღმოჩნდა, რომ ტურისტული კომპანებს და ტურისტრულ ბაზარს სჭირდება კვალიფიციური კადრები, რომელთა მოზადება შესაძლებელი იქნება მხოლოდ აღნიშნული მოდულური პროგრამის ფარგლებში. რაც შეეხება ჩარჩო დოკუმენტების მიხედვით შედგენილ პროგრამას „ბიბლიოთეკარი", აკადემიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქვეყანის მაშტაბით ფუნქციონირებს 650 ბიბლიოთეკა, სადაც დასაქმებულია 2053 ადამიანი. ასევე მრავლად არის საჯარო და კერძო დაწესებულებებში განთავსებული ბიბლიოთეკები, რომელთა სტატისტიკა არ არის დადგენილი. კვლევაში აღნიშნულია, რომ მათი შესაძლებლობების ფარგლებში შედგა კომუნიკაცია და დანამდვილებით გამოიკვეთა მოთხოვნა კვალიფიციური, თანამედროვე ცოდნა-უნარებით აღჭურვილ კადრებზე. ყოველივე ამის შედეგად დაწესებულებამ მოამზადა პროგრამები და სასწავლო გარემო აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად.

აკადემიას აქვს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია", რომლის შესაბამისად იქმნება სამუშაო ჯგუფი თითოეული პროგრამისთვის, სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელს და ადგენს პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბიბლიოთეკარისა" და „ტუროპერატორის" მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი მოდულები ადაპტირებულია ანუ გადამუშავებულია მოდულებში მითითებული რეკომენდაციების დაცვით. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სტრუქტურა, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

<u>შერჩეული პრაქტიკული ობიექტების ჩამონათვალი. პროგრამებს თან ერთვის სასწავლებლის მიერ ადაფტირებული მოდულები, სასწავლო გეგმები და ინფორმაცია მოდულების განმახორციელებელი პირების შესახებ.</u>

<u>**მოდულებში საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემაში აკადემიას შეტანილი აქვს ცვლილებები.**</u> კერძოდ, საათების განაწილების სქემაში პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის გადაწყვეტილებით თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი საათები გაერთიანდა საკონტაქტო სასწავლო დატვირთვაში და მასწავლებლებს მიეცათ საშუალება ინდივიდუალურად გადაწყვიტონ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების საჭიროება მოდულის თემატიკის მიხედვით, თუმცა დაწესებულებაში შემუშავებულია და რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოდულის კალენდარული გეგმის ახალი ფორმა, რომლის მიხედვით თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის საათების განაწილებას ახორციელებს მოდულის განმახორციელებელი პირი, მაგრამ სწავლების პროცესში, მოდულით გათვალისწინებული შედეგის დადასტურების მიზნით, პრაქტიკული მეცადინეობის ხვედრითი წილი განსაზღვრულია საკონტაქტო საათების არანაკლებ 70%.თ. **ასევე ინდივიდუალური მიდგომა აქვს აკადემიას არჩევითი კრედიტების მიმართ**. ორივე აღნიშნულ პროგრამაზე არჩევითი კრედიტების საერთო რაოდენობა შემცირებულია და მორგებულია სასწავლებლის საჭიროებებს. მსგავსი ტიპის ინდივიდუალური ხედვა და მიდგომა სრულიად დასაშვებია, რადგან <u>**პროგრამისა და მოდულის სარეკომენდაციო ჩანაწერები სწორედ ამ ტიპის ცვლილებების შეტანის საშუალებას ითვალისწინებს.**</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „<u>ბიბლიოთეკარის</u>“ მეოთხე საფეხურის პროგრამისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს <u>**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი**</u> საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკასთან და ასევე <u>**ხელშეკრულებები**</u> შპს „საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯთან, შპს „ევროპის უნივერსიტეტთან“, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტთან და შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტთან (სეუ)“; <u>**„ტუროპერატორის“**</u><u>მეხუთე საფეხურის პროგრამისთვის</u> <u>**ხელშეკრულებები**</u> გაფორმებულია ტურისტულ კომპლექს უჯარმასთან და შპს DISCOVER GEORGIA–სთან.

პრაქტიკის ერთობლივად განხორციელების გარდა ხელშეკრულებების საგანში ჩამოთვლილია კონკრეტულად ის მოდულები, რომელებსაც დაწესებულებები ახორციელებენ თანამშრომლობის პირობებში, ასევე ხელშეკრულებებში ზუსტად არის გაწერილი ორივე მხარის უფლება-ვალდებულებები ხელშეკრულების მოქმედების ვადები და სტუდენტების ის რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციას ერთდროულად. ასევე, მოდულური პროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში სტუდენტების შეუფერხებლად გადაადგილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშერულება ტრანსპორტით მომსახურებაზე 2021 წლის 31 მაისამდე მოქალაქე [redacted] **ამგვარი მიდგომით სასწავლებელს საშუალება ეძლევა წინსწარ სწორად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, ხოლო პროფესიული სტუდენტის აქვს შესაძლებლობა იყოს სრულად ინფორმირებული სასწავლო პროგრამის მიმდინარეობის შესახებ.**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეირჩა პარტნიორი დაწესებულება, რომელთანაც აკადემია თანამშრომლობს ორივე პროგრამის ფარგლებში. **შესაბამისად, 3 აგვისტოს განვახორციელეთ ვიზიტი „საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (სეუ)"; სადაც დავათვალიერეთ** პრაქტიკის ობიექტები, გავესაუბრეთ უნივერსიტეტის რექტორს და წარმომადგენლებს პრაქტიკული ობიექტებიდან. უნივერსიტეტს აქვს მოქმედი ბიბლიოთეკა და ასევე ტურისტული სააგენტო, სადაც შესაძლებელია სტუდენტმა მოახდინოს მოდულებით მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება, ასევე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დაადასტურა მზაობა აკადემიის სტუდენტთა პრაქტიკული ბაზებზე დაშვებისთვის.

ვიზიტის დროს, შესაძლებელი გახდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და მოდულების განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან გასაუბრებაც. აღმოჩნდა, რომ თითოეულ მათგანს ნათლად აქვს გააზრებული მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის მნიშვნელობა, მიღებული აქვს მონაწილეობა პროგრამის შესაბამისი მოდულების ადაპტირებაში, ლიტერატურის შერჩევაში, შესრულების კრიტერიუმების განსაზღვრაში და აქვთ სრული მზაობა მოდულური პროგრამების დანერგვასა და განხორციელებისთვის.

დაწესებულებამ ასევე მოითხოვა ავტორიზებული პროგრამისთვის „პრაქტიკოსი ექთანი" მეხუთე საფეხური კვოტის გაზრდა 16 სტუდენტით. ავტორიზაციით აკადემიას მოპოვებული აქვს კვოტა - 220 სტუდენტის ზღვრული რაოდენობა ცხრა პროგრამაზე. დაწესებულებას ემატება 2 მოდულური პროგრამა,შესაბამისად, ითხოვს კვოტის გაზრდას და, გამომდინარე იქიდან, რომ ახალი მოთხოვნები ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობების განსაზღვრას თითოეული პროგრამისთვის ინდივიდუალურად, დაწესებულებამ წარმოადგინა საერთო კვოტის განაწილების ჩამონათვალი მიმდინარე ავტორიზებულ პროგრამებზეც:

- კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხური - 60 პროფესიული სტუდენტის ადგილი;
- კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) IV საფეხური - 40 პროფესიული სტუდენტის ადგილი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

- კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) V საფეხური - 35 პროფესიული სტუდენტის ადგილი;
- ინფორმაციული ტექნოლოგი III საფეხური - 46 პროფესიული სტუდენტის ადგილი;
- ინტერნეტტექნოლოგი (ვებ-სპეციალისტი) III საფეხური - 20 პროფესიული სტუდენტის ადგილი;
- ბუღალტერი III საფეხური-24 პროფესიული სტუდენტის ადგილი;
- ბუღალტერი IV საფეხური - 20 პროფესიული სტუდენტის ადგილი;
- ბუღალტერი V საფეხური - 20 პროფესიული სტუდენტის ადგილი;
- პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური - 60 პროფესიული სტუდენტის ადგილი;
- ბიბლიოთეკარი IV საფეხური - 30 პროფესიული სტუდენტის ადგილი;
- ტუროპერატორი V საფეხური - 30 პროფესიული სტუდენტის ადგილი;

<u>სულ ჯამში 385 სტუდენტი, რაც ნიშნავს 165 ადგილის დამატებას.</u>

აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, მე - 17 მუხლში, აღწერილია კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდილოგია. რომლის საფუძველზეც დაწესებულება განსაზღვრავს მისაღები კონტიგენტის რაოდენობას. მეთოდოლოგია შედგება 10 პუნქტისგან, რომლებშიც მოცემული ინფორმაცია ნათელ წარმოდგენას გვიქმნის დაწესებულების მიერ სასწავლო რესურსების ოპტიმალურად გადანაწილების შესახებ. ვიზიტის დროს ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოგვიდგინა მის მიერ შემუშავებული დოკუმენტი <u>„საგნობრივ და მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დათვლის მეთოდოლოგია“</u>, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ დაწესებულებაში კონტიგენტის მიღება ხდება არსებული სასწავლო ფართის (1059კვ.მ), მასწავლებლების (48), პრაქტიკის ობიექტების და შესაბამისად მოწყობილი სასწავლო გარემოსა (A,B,C) და აკადემიის საკუთრებაში არსებული აღჭურვილობის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა წინასწარ განაწილებული გეგმა წლის მანძილზე კომპიტერული კლასის დატვირთვის შესახებ:

- კრიმინალისტი III საფეხური <u>კვირაში 4 საათი</u> საკონტაქტო 24 კვირა(1-24 კვირა)
- კრიმინალისტი 4 საფეხური <u>კვირაში 3 საათი</u> საკონტაქტო 24 კვირა(1-24 კვირა)
- კრიმინალისტი 5 საფეხური <u>კვირაში 3 საათი</u> საკონტაქტო 24 კვირა(1-24 კვირა)
- ბუღალტერი 3 საფეხური <u>კვირაში 2 საათი</u> საკონტაქტო 12 კვირა(1-12 კვირა)
- ბუღალტერი 4 საფეხური <u>კვირაში 2 საათი</u> საკონტაქტო 12 კვირა(1-12 კვირა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

- ბუღალტერი 5 საფეხური კვირაში 4 საათი საკონტაქტო 6 კვირა(1-6 კვირა)
- ინფორმაციული ტექნოლოგი 3 საფეხური კვირაში 3 საათი საკონტაქტო 14 კვირა(1-14 კვირა)
- ინტერნეტტექნოლოგი(ვებსპეციალისტი) 3 საფეხური კვირაში 2 საათი საკონტაქტო 16 კვირა (1-16 კვირა)
- პრაქტიკოსი ექთანი 5 საფეხური კვირაში საკონტაქტო 4-5 საათი 20 კვირა (2-21 კვირა)
- ტუროპერატორი 5 საფეხური კვირაში საკონტაქტო 9 საათი 10 კვირა (29-38 კვირა)
- ბიბლიოთეკარი 5 საფეხური კვირაში საკონტაქტო 9 საათი 10 კვირა (2-11 კვირა)

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ეს მონაცემები და აღმოჩნდა, რომ აკადემიის მოთხოვნა კვოტის გაზრდის თაობაზე სრულიად ლეგიტიმურია, ხოლო მის მიერ წინასწარ გაკეთებული გათვლები ხელს უწყობს დაწესებულებას ოპრიმალურად აითვისოს არსებული რესურსები. ორი ახალი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, ბიბლიოთეკარი IV საფეხური და ტუროპერატორი V საფეხური, დაწესებულებამ განსაზღვრა 30 - 30 პროფესიული სტუდენტის ადგილი სულ 60 ადგილი;

- პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროგრამაზე ამჟამად განსაზღვრულ 44 ადგილს ემატება 16 ადგილი და გამოდის 60 პროფესიული სტუდენტი.
- დანარჩენი 89 ადგილი დაწესებულებას გამიზნული აქვს გადაანაწილოს სხვა ავტორიზებულ პროგრამებზე, რადგან აქვს შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო გარემო და მეორე ცვლაში ჯგუფების გახსნის შესაძლებლობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
	ტუროპერატორი	მეხუთე	ტუროპერატორის მეხუთე საფე ხურის პროფესიული კვალიფიკაცია	145
	ბიბლიოთეკარი	მეოთხე	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	130

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

დასტურდება:

- ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და სილაბუსებით;
- ჩარჩო დოკუმენტზე დაყრდნობით შექმნილი მოდულური პროგრამებით/მოდულებით;
- რექტორის ბრძანებებით პროგრამების დამტკიცების შესახებ ბრძ. N2/69.08.6.2017 და N2/68 08.06.2017;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დამტკიცებული ინსტრუქციით, ბრძ.2/36, 22.03.2017;
- ხელშეკრულებებით პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებით;
- კვოტის დამატებაზე გადახდის ქვითრებით
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის მე-17 მუხლით;
- ვიზუალური დათვალიერებით და ინტერვიურებით

1.1. <u>სტანდარტი არ არის დარღვეული</u>

<u>რეკომენდაცია:</u>

სასურველია დაიხვეწოს კოლეჯის მიერ პროექტის სახით წარმოდგენილი <u>„საგნობრივ და მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დათვლის მეთოდოლოგია“</u> და ინვენტარისა და აღჭურვილობის რაოდენობებთან ერთად მიეთითოს ცალკეული ოთახების ფართებიც.

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

<u>შეფასება:</u>

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, დაწესებულების მისია, დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

აქტივობები პროფორიენტაციის მიმართულებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა, სადაც თითოეულ პროგრამაზე განთავსებულია სრული მონაცემები პროგრამების შესახებ: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია,სწავლების საფეხური, დაშვების წინაპირობები, კრედიტების რაოდენობა, სწავლის ხანგრძლივობა, მიზნები და მისაღწევი შედეგები, ასევე არის ანონსი განსახორციელებელი პროგრამების შესახებ. კატალოგში აღწერილია 2016-17 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები.

<u>დასტურდება:</u>

- 2017-2018 წლის კატალოგით;
- ვებ.გვერდი <u>www.bta,edu,ge</u>

<u>1.2 სტანდარტი არ არის დარღვეული</u>

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

<u>შეფასება</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. <u>საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უფლებამოსილება, მის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თავად შეარჩიოს და შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს არჩევითი მოდული/მოდულები.</u> რადგან არჩევითი კრედიტების ჯამი აღარ განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციას, კოლეჯს შეუძლია შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს არჩევითი მოდულები კოლეჯის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც მოხდა აღნიშნული დაწესებულების შემთხვევაში: 1)„ ტუროპერატორის“ პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი წარმოდგენილია 155 კრედიტით, სადაც 20 კრედიტი ეკუთვნის არჩევით მოდულს, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ტუროპერატორის პროგრამაში სულ 145 კრედიტია, საიდანაც მხოლოდ 10 კრედიტია არჩევითი. იგივე პოლიტიკით არის შერჩეული არჩევითი მოდულები მეორე პროგრამაზეც 20 კრედიტის ნაცვლად 7 კრედიტის მოცულობით. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

მოდულური პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს ამგვარი თავისუფალი არჩევანის სრული უფლება აქვთ.

<u>დასტურდება:</u>

- დამტკიცებული პროგრამებით და მოდულებით;

<u>1.3. სტანდარტი არ არის დარღვეული</u>

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც მე-4 მუხლიდან მე-9-ე მუხლის ჩათვლით სრულადაა გაწერილი სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები. აღნიშნული დოკუმენტიდან შესაბამისი ამონარიდი შეტანილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაშიც.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ არსებული დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მუდმივად აახლებს მარეგულირებელ დოკუმენტებს უახლესი გადაწყვეტილებების შესაბამისად. მაგ: <u>რეგულირების წესის მე-12 მუხლის მე-14 პუნქტში გაწერილია ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენა A2 და B1 მოდულების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმები, რომლის თანახმადაც, შიდა მონიტორინგის ჯგუფი მიმღები კომისიის წევრების ჩართულობით ოქმის სახით ადგენს აღნიშნულ ფაქტს და უდასტურებს სტუდენტს შესაბამისი შედეგებს ნამდვილობას.</u>

დასტურდება:

- <u>რექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 2/64 (31.05.2017)</u>
- <u>ვებ გვერდი www.bta. edu.ge;</u>

<u>1.4. სტანდარტი არ არის დარღვეული</u>

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

შეფასება:

დაწესებულებას მიერ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში" ასევე გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით.

დასტურდება:

- რექტორის 2/64 (31.05.2017) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"
- ვებ გვერდი www.bta.edu.ge;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან 2015 წლის 6 აგვისტო.

<u>1.5. სტანდარტი არ არის დარღვეული</u>

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

დაწესებულების რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სხვადასხვა ტიპის კითხვარები, რომელთა შევსებისა და შესაბამისი პერსონალის მიერ ანალიზის საფუძველზე იგეგმება გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებელი ღონისძიებები. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ თითორული პროფესიული პროგრამის/სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში ხდება გამოკითხვების ჩატარება;

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

- რექტორის 2/02 ბრძანებით (15.01.2016 წ.) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულების საქმიანობის შეფასების ინსტრუქციით, კითხვარების ფორმებით;
- შევსებული კითხვარებით(ელექტრონული ვერსია);
- რექტორის 2/55 (23.09.2016წ.) შიდა მონიტორინგის გეგმით და შიდა მონიტორინგის სამსახურის ინსტრუქციით;
- შიდა მონიტორინგის ოქმებით; გაკვეთილებზე დასწრების აქტებით,შიდა მონიტორინგის სამსახურის ანგარიშებით;

1.6. სტანდარტი არ არის დარღვეული

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

დაწესებულების ფაქტობრივი მისამართი არ შეცვლილა ავტორიზაციის შემდეგ, საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება დასამატებელი საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე,წერონისის ქ.208	**ფართი 1059.82 კვ.მ.** 1-ლი სართული ფართი 274.451 კვ.მ., მე-2 სართულის ფართი - 259,76 კვ.მ. მე-3 სართულის ფართი - 261.18 კვ.მ. მე-4 სართულის ფართი - 264.43 კვ.მ

დასტურდება:

- მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი [redacted]
- ინფორმაცია ვებ გვერდზე www.reestri.gov.ge

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

შეფასება:

დაწესებულება განთავსებულია ოთხსართულიან, კერძო, ცალკე მდგომ შენობაში (შემოსაზღვრულ ეზოში). დაწესებულებას გააჩნია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი. აუდიტორიები აღჭურვილია: მერხებით, სკამებით, დაფებით, სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით, მონიტორებით, ქსელური პრინტერით, სკანერით, პროექტორით, ფლიპჩატის დაფებით. დასამატებელი მოდულური პროგრამებისთვის მოდულების ჩანაწერების შესაბამისად სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი სასწავლო გარემო(A,B,C).

„ტუროპერატორის" პროგრამის პროფესიული მოდულებისთვის გამოყოფილია N22 აუდიტორია, სადაც მოწყობილია A/C ინტეგრირებული გარემო 15 პროფესიულ სტუდენტზე ერთ ცვლაში.(8 ორადგილიანი მაგიდა სკამებით, მასწავლებლის მაგიდა და სკამი). „ბიბლიოთეკარის" პროფესიული მოდულების განსახორციელებლად კოლეჯს გამოყოფილი აქვს N7 აუდიტორია A გარემო ასევე 15 სტუდენტზე (9 ორადგილიანი მაგიდა სკამებით, მასწავლებლის მაგიდა და სკამი) შესაბამისი აღჭურვილობით. „პრაქტიკოსი ექთნის" მოდულურ პროგრამაზე, კვოტის გაზრდის მოთხოვნასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯის შესაძლებლობები. აღნიშნული პროგრამისთვის კოლეჯი იყენებს N14 აუდიტორიას (A გარემო) და N 17 აუდიტორიას (C გარემო)

დღეის მდგომარეობით „პრაქტიკოსი ექთნის' მოდულურ პროგრამაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს სწავლება ორ ცვლაში, თუმცა 2015 წელს აღნიშნულ პროგრამაზე მიღებული პროფესიული სტუდენტები 2017 სექტემბრიდან გაივლიან იმ მოდულებს, რომლებიც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე. შესაბამისად, გათავისუფლდება კოლეჯის C გარემო და შესაძლებელი იქნება ახალი ჯგუფის მიღება.

დასტურდება:

- შესყიდვის ხელშეკრულებით 7/20 (31.05.2017);
- 12.12.2016 წლის ინვენტარიზაციის აქტით N1 (18 გვერდი); 2017 წლის იანვრიდან – ივნისის ჩათვლით ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური ფასეულობათა საინვენტარიზაციო აღწერილობა;
- აუდიტორული კომპანია „ინტელექტ აუდიტის" აუდიტორული დასკვნით 2016 წლის პერიოდის შესახებ (02/02/207; N19);
- შესყიდვის აქტებით;
- ინვენტარის ჩუქების ხელშეკრულებით 7/29 (10.06.207წ) (ჩუქების ხელშეკრულებას ახლავს დანართი, რომელშიც ნაჩუქარი საგნების დეტალური ინფორმაციაა მითითებული)

13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

2.1. სტანდარტი არ არის დარღვეული

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულებას გააჩნია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გენერატორით სარგებლობა), სველი წერტილები, არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, გათბობის ცენტრალური სისტემა.

დასტურდება:

- საგანმანათლებლო დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულებაში წარმოდგენილი კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით.

2.2. სტანდარტი არ არის დარღვეული

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

შეფასება:

შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას აქვს ბიბლიოთეკა,რომელიც განთავსებულია შენობის მეორე სართულზე ორ ოთახში. ბიბლიოთეკაში გამოჯნულია საცავი და სამკითხველო დარბაზი, დგას 2 კომპიუტერი და 1 პრინტერს+სკანერი და 6 ოთხკაციანი მაგიდა მიკითხველთა მომსახურებისთვის. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სამუშაო გრაფიკი. საბიბლიოთეკო ფონდი (1214 წიგნი და 142 CD დისკი, სულ 1356 ერთეული) აღრიცხულია ელექტრონულ კატალოგში. საინვენტარო წიგნი დანომრილია და გაფორმებულია ბიბლიოთეკის წარმოების წესის შესაბამისად. დაწესებულება აწარმოებს აღრიცხვის ჟურნალის და არეგულირებს მკითხველთა მიერ წიგნებით სარგებლობას აღრიცხვის ბარათებით.

ექსპერტების მიერ შედარდა ჩარჩო პროგრამის მოდულებით რეკომენდებული ლიტერატურა და დაწესებულების მიერ ადაპტირებულ მოდულებში მითითებული ლიტერატურა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აკადემიას გათვალისწინებული აქვს რეკომენდებული ლიტერატურა და ასევე დამატებული აქვს ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ გამოსული ახალი ლიტერატურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

შემთხვევითი შერჩევის წესით შემოწმდა „ტუროპერატორის" მეხუთე საფეხურის და „ბიბლიოთეკარის" მეოთხე საფეხურის პრგრამის აკადემიის მიერ შემუშავებული მოდულებით გათვალისწინებული ლიტერატურა, ისინი ბიბლიოთეკის ფონდში სრულად არის წარმოდგენილი. აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ–საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან აკადემიის სერვერზე ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის OPEN BIBLIO–ს დაინსტალირებაზე. აკადემიის წიგნადი ფონდი განთავსებულია სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში OPEN BIBLIO. ბიბლიოთეკის ფონდში არსებული ლიტერატურა, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

დასტურდება:

- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნებით;
- საბიბლიოთეკო ფონდში არსებული წიგნების ფლობის, შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.
- წიგნადი ფონდის ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით ბიბლიოთეკართან.
- შპს- ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ვებ - გვერდით (**www.bta.edu.ge**).
- ხელშეკრულებით OPEN BIBLIO–ს მოხმარებაზე.

2.3. სტანდარტი არ არის დარღვეული

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისათვის, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიებში და ადმინისტრაციის ოთახებში არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ ქსელში. საგანმანათლებლო დაწესებულებაში არის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი.

დასტურდება:

- დაწესებულების რექტორის ბრძანება 2/81 (10.07.2017წ.) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განაწილების შესახებ ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

- რექტორის 2/64 ბრძანება (მეოთხე დანართი) (31.05.2017წ.) აკადემიაში კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესების შესახებ;
- ვებ-გვერდი: www.bta.edu.ge

2.4. სტანდარტი არ არის დარღვეული

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებულია საქმის წარმოების ერთიანი წესი, რომლითაც დაწესებულების შესაბამისი პერსონალი უზრუნველყოფს საქმის წარმოებას.

დასტურდება:

- რექტორის მიერ 2/37 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესით,
- ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალების, შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალების და ოქმების აღრიცხვის ჟურნალების ვიზუალური დათვალიერებით.

2.5. სტანდარტი არ არის დარღვეული

2.6. დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

დაწესებულებას გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრები მუშა მდგომარეობაში;

დაწესებულებაში არსებობს საევაკუაციო გეგმა, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებში ყველა სართულზე;

აკადემიაში არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების ინვენტარით და მედიკამენტებით. სამსახურში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

დასაქმებულია ექთანი.წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილია დაცვის სამსახურის სახით.

დასტურდება:

- რექტორის 2/31 ბრძანება (13.03.2017წ.) ევაკუაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- რექტორის 2/64 ბრძანება (მესამე დანართი) (31.05.2017წ.) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- რექტორის 2/64 ბრძანება (მეხუთე დანართი) (31.05.2017წ.) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- რექტორის 2/64 ბრძანება (მეათე დანართი) (31.05.2017წ.) აკადემიაში წესრიგის დაცვის მექანიზმების შესახებ;
- რექტორის ბრძანება დაცვის თანამშრომლის და ექთნის დანიშვნის შესახებ;

2.6. სტანდარტი არ არის დარღვეული

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

შეფასება:

აკადემიაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის თავისუფლად გადაადგილების საშუალებები (პანდუსები) და სველი წერტილი;

დასტურდება:

- აკადემიის ვიზუალური დათვალიერებით;
- 2014 წლის ავტორიზაციის დასკვნით.

2.7. სტანდარტი არ არის დარღვეული

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

შეფასება:

აკადემიის ვებგვერდზე www.bta.edu.ge განთავსებულია: ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, სიახლეები, სტატუსი, მისია, სტრუქტურა , დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

სამართლებრივი აქტები , საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები, მოდულები, „კატალოგი"; წარმოსადგენი დოკუმენტები, პროფესიული სტუდენტის განცხადებისა და ანკეტის ფორმები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ (ჩამონათვალი), მემორანდუმები, დაწესებულების განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე ვებგვერდი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული სტუდენტი, ვაკანსია, ფოტოგალერეა და სიახლეები. ინფორმაცია რეგულარულად განახლებდია.

დასტურდება:

- ჰოსტინგის ხელშეკრულება 6384755/7/59 (03/11/2016 წ.) შპს „ახალი ქსელებთან" და დომენის 7/28 (10 ივნისი 2017წ.) ხელშეკრულება შპს „პროსერვისთან";
- ინტერნეტ მომსახურების საფასურის გადახდის ქვითრები;
- ვებ გვერდი -www.bta.edu.ge

2.8. სტანდარტი არ არის დარღვეული

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

აკადემიას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2017-22) და ერთწლიანი 2017 წლის სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დასტურდება:

- რექტორის მიერ 2/36 ბრძანებით (22.03.2017წ.) დამტკიცებული ერთწლიანი 2017 წლის სამოქმედო გეგმით;
- დაწესებულების 2017-2022 წწ სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით

2.9. სტანდარტი არ არის დარღვეულ

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

აკადემიის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დირექციის, ადმინისტრაციის, დამხმარე პერსონალის საქმეები. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას საშტატო განრიგით ჰყავს 14 თანამშრომელი; საშტატო განრიგით ასევე დაშვებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თანამდებობა, რომელიც ექპერტთა ვიზიტის დროს იყო ვაკანტური.

დასტურდება:

- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შპს - „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანებით № 1/06 22.03.2017;
- დანიშვნის ბრძანებებით და ხელშეკრულებებით;

<u>3.1. სტანდარტი არ არის დარღვეული</u>

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

შეფასება:

აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესს უძღვებიან აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები, სათანადო კვალიფიკაციისა და პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები. მათ შორის 48 არის პროფესიული მასწავლებელი.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შესწავლილი დოკუმენტაციით დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის დაცვით.

დასტურდება:

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

<u>3.2. სტანდარტი არ არის დარღვეული</u>

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 220-ით. ვიზიტის პერიოდისთვის, პროფესიული სტუდენტისა და <u>მასწავლებლის თანაფარდობა შეადგენს 164/48-ს.</u> აკადემიისთვის მოთხოვნილი კვოტის დამატების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

შემთხვევაშიც არ გდაირღვევა სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა (385/48 ანუ 9 სტუდენტზე 1 მასწავლებელი)

3.3. სტანდარტი არ არის დარღვეული

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

შეფასება:

პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება გასაუბრების საფუძველზე, მომსახურების ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და გაფორმებულია კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ შექმნილი წესის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღებას მასწავლებლობის გასაუბრების შედეგად ან/და კონკურსის საფუძველზე. კონკურსის ჩატარების წესი და პროცედურები გაწერილია აკადემიის „პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესში"

ვიზიტის დროს შემოწმდა პირადი საქმეები. ყველა პირადი საქმე მოწესრიგებულია სათანადოდ, გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები, ყველა საქმეში დევს განცხადება, ხელშეკრულება, ავტობიოგრაფია (cv), განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი დადასტურებული აკადემიის რეესტრის სამსახურის მიერ, პირადობის ასლი, შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დასტურდება:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესით", 2016წ.
- დანიშვნის აქტებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- მომსახურების ხელშეკრულებებით;

3.4. სტანდარტი არ არის დარღვეული

რეკომენდაცია:

„პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი" დამტკიცებულია დირექტორის 5.01.2016 წლის #2/02 ბრძანებით. თუმცა აკადემია არის სამართალმემკვიდრე და შეუძლია ისარგებლოს 2016

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შემოწმებაზე

წელს დამტკიცებული წესით, მაინც სასურველია, რომ აღნიშნული წესი დამტკიცებული იყოს უფლებამოსილი პირის, რექტორის მიერ.

IV. თანდართული დოკუმენტაცია -არ ახლავს.

ინფორმაცია ავტორიზაციის ექპერტთა ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 10.07.2017. წლის N414 ბრძანების საფუძველზე. გადამოწმდა აკადემიის მზაობა სამივე სტანდარტის მიხედვით, ჩარჩო დოკუმენტების მიხედვით შედგენილი ორი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის დამატებისთვის, „ბიბლიოთეკარი" მეოთხე საფეხური და „ტუროპერატორი" მეხუთე საფეხური, ჯგუფის წევრების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოდულები, ფართი, მატერიალური რესურსები და მათი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,საბიბლიოთეკო ფონდი, ემისის ელ.ბაზაში შეტანილი ინფორმაციის სისწორე და სისრულე; ასევე აკადემიის მიერ გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;პროგრამების განმახორციელებელი პირების და ადმინისტრაციის პირადი საქმეები; დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია; გადამოწმებულ იქნა პრაქტიკის ობიექტი.

ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ როგორც ადმინისტრაციის წევრებს, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს და წარმომადგენლებს პრაქტიკის ობიექტზე. ავტორიზაციის ჯგუფის მუშაობის პერიოდში მოთხოვნილი დოკუმენტები წარმოდგენილ იქნა შეუფერხებლად.

ქ. თბილისი 2017 წლის აგვისტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.